


# ჩემი საქართველო



№57, ნოემბერი, 2018

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდერობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწრაფვიან!



ღმერთმა დალოცოს საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორატი, პროფესორ–მასწავლებლები. ტექნიკური პერსონალი. სტუდენტი–ახალგაზრდობა და მათი მშობლები.

რექტორის ტრიბუნა

პროფესორი

## გარი ჩაფიძე: – პედაგოგიკის დეონტოლოგია

გაგრძელება, დასაწყისი იხ. გაზეთ „ჩემი საქართველო“ №53-56



– დავაკვირდეთ ბავშვს, რომელიც ენას იდგამს, ენა გაცილებით რთულია, ვიდრე ის ათი ან ათასი ცნება, რომელსაც ჩვენ ვუნერგავთ ბავშვებს. ყველა ბავშვი თვითონ იწყებს საუბარს, რამეთუ განსაზღვრულ დროს მას უჩნდება სიტყვის წარმოთქმის მოთხოვნილება. ჯერ ჩურჩულით, ხოლო შემდეგ ხმამაღლა იძახის სიტყვებს. პატარას შინაგანი მოთხოვნილება აქვს საუბრისა, ასე რომ არ იყოს, იგი არასოდეს ამოიდგამს ენას, ამას ემატება დიდების გამუდმებითი საუბარი ბავშვთან და მისი თანდასწრებით... მაშასადამე, ბავშვის ასამეტყველებლად საჭიროა შინაგანი მოთხოვნილება და გარემო პირობები. ცოტა მოგვიანებით ასევე ყალიბდება მორალური თვისებებიც ორი შემხვედრი მოძრაობისაგან შიდა სამყაროდან გარე სამყაროსაკენ და პირიქით. აღზრდისას ჩვენ ყოველთვის ვაკონკრეტებთ ჩვენს ქმედებას ეს ზოგჯერ გვიმართლებს, ზოგჯერ კი არა და რომ გაგვიმართლოს აუცილებელია საკუთართან ერთად ბავშვის სულის მოძრაობაც ვიგრძნოთ...

სამედიცინო დიაგნოსტიკით ავადმყოფობას ორი მიზეზი აქვს: ნამსხვრევები და დაცვა. წარმოიდგინეთ, თვალში გვხვდება ქვიშის ნამცეცი, მაშინვე მთელი ორგანიზმი აღსდგება მის წინააღმდეგ, თვალი სივდება – ეს იმას ნიშნავს, რომ მიმდინარეობს ომი ქვიშის ნამცეცთან... შესაძლოა ადამიანი დარჩეს უთვალოდ! რისგან?! ქვიშის უწვრილესი მარცვლისაგან? დაცვისაგან?

უწვრილესი ქვიშის მარცვალი ესაა ჩვენი უხეში გაუფრთხილებელი შეხება ბავშვში არსებული უფაქიზეს სულის თვალთან, მაგრამ სულმა, როგორც ორგანიზმმა არ იცის აუცილებელი თავდაცვის საზღვარი, ის გრძნობს საფრთხეს ოდნავ აწეულ ტონში, ამიტომ პატარას სულში გაუცნობიერებლად ჩნდება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაცვის, ბოროტების სიმსივნე, დიდებიც იარაღდებიან ბავშვის ბოროტი გრძნობებისაგან თავისდასაცავად და ამოძრავდა ქანქარა... – ჩვენ ბავშვებთან ერთად სწრაფად შევდივართ ბოროტების გვირაბში, დიახ, თუ ბავშვის სულში, რაღაცის გამო, შეუმჩნევლად „ქვიშის ნამცეცისაგან“ აინთო ბოროტი გრძნობა, მაგრამ მას გარედან არ უპასუხა ბოროტებამ, მაშინ ეს გრძნობა ქრება, გარემოს ერწყმის და ქრება... ეზოში დედისკენ გამორბის სამი წლის გოგონა და უყვირის: „შენ ძაღლი ხარ“... რა უნდა ვუპასუხოთ? დავსაჯოთ, რომ მეორედ არ გაბედოს ასე მიმართოს მშობელს? მაგრამ დედა წამიერი დაფიქრების შემდეგ ეუბნება: – „შენ კი – ყურცქვიტა!“ პატარა ანაზდად დაფიქრდება, მაგრამ ჯერ კიდევ გაბრაზებულია, გაანჩხლებულია და იძახის: – შენ კი, შენ კი... შენ კი ციყვი!“ და იცინის, მორჩა ამით ყველაფერი დამთავრდა, ჩაიშალა თავდასხმა, არ შეიქმნა გვირაბი, არ წარმოიშვა ბოროტი გრძნობა. ასეა შემდეგაც, მოსწავლეობის და სტუდენტობის წლებშიც არ უნდა დავაკავშიროთ ბოროტი გრძნობები, არ უნდა შევქმნათ ბოროტების გვირაბი!

მუდმივად ვაკონტროლებთ ბავშვებს, აღმზრდელობით ზომებს ვღებულობთ, ვაქებთ, ვსჯით და ვფიქრობთ, რომ ესაა აღზრდა, მაგრამ ბავშვები სულ სხვაგვარად ღებულობენ მას, ამიტომ არის რომ ერთი და იგივე ზღაპარი, კეთილ კაცსაც ზრდის და ბოროტსაც. სწორედ ამ ზღაპრებში, აღზრდასა და ყოველდღიურობაში იბადება ბავშვის სულის მოძრაობა. ისე კი, როგორც ჩანს, დღევანდელ გლობალიზაციაში, ამ ზღაპრებმაც დაჰკარგეს ძირითადი აზრი, თვითონ განსაჯეთ: – ყველა ზღაპარში ხომ ბოროტებასთან ბრძოლაში სიკეთე იმარჯვებს: თუ კეთილი ხარ, გამარჯვება შენია! ხელის გაუნძრევლად შეიძლება მიაღწიოს კეთილმა სასურველ შედეგს! – ასე გვმოძღვრავენ ბავშვობაში და ამით ბოროტებასთან საბრძოლველად არ გვამზადებენ, რეალურ ცხოვრებაში სხვაგვარადაა, – დიახ, ბოროტებასაც ჰყავს თავისი გმირები... გამარჯვებისთვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლისთვის მომზადება... ეს ჩვენ არ გვასწავლეს, ამიტომ ცხოვრებას ბავშვობიდანვე ზედაპირულად ვხედავთ! ბოროტია ყარაბას-ბარაბასი, ბურატინო კი კეთილი... ამიტომაც ბურატინო სულ რომ არაფერი გააკეთოს ბარაბასთან დასაპირისპირებლად, მაინც გაიმარჯვებს, კეთილია და ამიტომ... ასეა ვითომ?! „ჩიტი და მელია“ ასე ჰქვია ერთ ქართულ ზღაპარს: – დედა ჩიტი, იმის შიშით, რომ მსუნაგმა მელამ ხე არ მოჭრას და არ შეჭამოს თავის ბარტყებითურთ, ჯერ ერთ შვილს ჩამოუგდებს მელას, მერე მეორეს და ბოლოს მესამეს... თვითონ კი გადარჩება, სადაა ლოგიკა?! დედა ჩიტმა ყველა ბარტყი გაწირა საკუთარი სიცოცხლისათვის? – და შემდეგ, უკვე სკოლის საშუალო ასაკის ჯგუფში, პათეტიკურად გვიკითხავენ უკვდავი – ვაჟას გენიალურ ლექსს:

**„დედას ვუყვარვართ შვილები,**
**დედა არ გვახსოვს შვილებსა...“**

და დედასთან აიგივებენ ყველაფერს, რაც ყველაზე კარგი და ტკბილია: – დედას უძღვნიან ათიათასობით ლექსს და სიმღერას... პედაგოგიკის მოვალეობა, მარტო მეცნიერული მწვერვალების დაუფლება კი არაა, არამედ იმის შესწავლა, თუ როგორია რეალური ცხოვრება... რატომ არის კორუფცია? მექრთამეობა? აღებ-მიცემობა? – უამრავი შეკითხვაა ამ მხრივ და ვეძებთ საწყისს, არადა გვავიწყდება საწყისთა-საწყისი: – ისევ ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ – მართალია მეგობრის გადასარჩენად იბრძვის მეგობარი, მაგრამ როგორია მის მიერ გასავლელი „კორუფციასთან“ წილნაყარი გზა?!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# სამეცნიერო საბჭოს რეგლამენტი

განსაკუთრებული მეცნიერული მუხტი იგრძნობოდა ამ დღეებში საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში, აქ დილიდანვე იწყეს შეკრება, როგორც ადგილობრივი, ასევე რაიონული სასწავლო ცენტრების წარმომადგენლებმა, დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომისთვის, რომელიც წინასწარ განსაზღვრული რეგლამენტით წარიმართა, ახალი სასწავლო წლის-ახალი გეგმების შესახებ შეკრებილ საზოგადოებას, ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მოუთხრო, რუსთავის სასწავლო ცენტრში, გასული სასწავლო წლის შედეგების შესახებ ისაუბრა განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა ქეთევან ცისკარაშვილმა, ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრი გუშინ, დღეს, ხვალ – ასეთი იყო ქ. თერჯოლის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ეთერ ტურავას, მართლაც და მაღალი დონის გამოსვლა, რუსთავის სასწავლო ცენტრის პედაგოგებმა ლეილა გეგეშიძემ, ნინო თავართქილაძემ, თამარ ვარსიმაშვილმა, ზეინაბ ლამაზოშვილმა, ზურაბ ქსოვრელმა, როზა გულისაბედაშვილმა, დარეჯან იმერლიშვილმა, თამარ თარიმანაშვილმა, ნინო კაკიაშვილმა, – კოლეგებს მოუთხრეს ეკოლოგიური სამართლის სწავლების მეთოდიკის, „იმიტირებული სასამართლო სხდომების“, „აკადემბანკის“ იმიტირებული სწავლების, ბულინგის, სტუდენტთა ტაქტიკური მომზადების, – იმიტირებული „აფთიაქის“, პედაგოგთა და სტუდენტთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების საკითხების შესახებ, აკადემიური ქალაქის ბავშვთა დღის ცენტრის ფუნქციონირებაზე ისაუბრა ნათია გოგალაძემ, ხოლო „აკადემფარმის“ მიღწევებზე – ფარმაცევტმა ირმა კურატაშვილმა, ქ. ლაგოდეხში, ჩვენი ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით მსმენელს საინტერესოდ მოუთხრო ქ. ლაგოდეხის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრის პედაგოგმა სოფიკო ტაბატაძემ, „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში“ განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაკა სამხარაძემ – ყველაზე მნიშვნელოვანი, თვითმფრინავის ვიპ-მგზავრების შესახებ გაამახვილა ყურადღება, წლის ფინანსური ანგარიში წარმოადგინა ინსტიტუტის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების გამგემ ნაზიბროლა კაპანაძემ, ქ. ოზურგეთის სასწავლო ცენტრის წარმატებებზე კი დამსწრე საზოგადოებას ქ. ოზურგეთის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა მაკა ბრეგვაძემ მოუთხრო, აკადემიური ქალაქის „კოლორიტი 1991“-ის სამედიცინო მენეჯერმა მარია მირზოიანმა მოხუცთა სახლში არსებულ სიახლეებზე ისაუბრა, ხოლო ქ. თბილისის სასწავლო ცენტრის პედაგოგი თინა ბანცური სასწავლო პროცესის სრულფასოვნების საკითხებს შეეხო...

– ასეთი სახის სხდომები, ჩვენი მუშაობის, მეცნიერული მიღწევების განზოგადებაა, რომელიც ყოველთვის მეტ ინტერესს და მისწრაფებებს იწვევს პედაგოგიკის ყოველდღიურ საქმიანობაში – აღნიშნა დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომის შედეგების შეფასებისას ინსტიტუტის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ და შეეხო იმ ნეგატიურ მხარეებს, რომლის აღმოფხვრაზეც თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვიზრუნოთ!





# ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი გარი ჩაფიძე სამუშაო ვიზიტით ბელარუსის რესპუბლიკას ეწვია



საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი გარი ჩაფიძე,

ამ დღეებში ბელარუსის რესპუბლიკაში, გომელის საოლქო კომიტეტში, ნომენკლატურული დარგის სამსახურის ხელმძღვანელებს სამუშაო ვიზიტით შეხვდა, როგორც განათლებისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა, ბელარუსის რესპუბლიკის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა სერგეი პოროშინმა, თავის ქართველ კოლეგასთან დიალოგში აღნიშნა, ის მზადაა, ურთიერთობების გააქტიურების კუთხით აქტიურად ითანამშრომლოს ქართულ პედაგოგიურ და სამეცნიერო სპექტრთან, ხოლო კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და იდეოლოგიის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა, ირინა დოვგალომ, ყურადღება ბელარუსის რესპუბლიკაში, ქართული კულტურის დღეების წარმართვაზე გაამახვილა, ჩვენი, საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიური ქალაქის მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივების ჩართულობით, ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მთელ რიგ მემორანდუმებს.

აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ქართულ-ბელარუსული ლექსიკონის პრეზენტაცია, რომლის ავტორ-შემდგენელი პროფესორი გარი ჩაფიძეა, – აღინიშნა, რომ ეს ლექსიკონი დიდად შეუწყობს ხელს ამ ორი ერის, ქართველებისა და ბელარუსების მეტად დაახლოებას და ისიც, რომ ამ ლექსიკონს, მსოფლიოში, დღემდე ანალოგი არ გააჩნია.

## ანონსი

გაზეთი „ჩემი საქართველო“ მომდევნო ნომერში გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან ბატონ მიხეილ ბატიაშვილთან

## რას წერენ ჩვენზე

# აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრს უკრაინის დელეგაცია სტუმრობდა

სამი მარიამი... კიდევ ნატო, რომანი, ანა, ნიკოლოზი... აი, არასრული სია, იმ ბავშვებისა, რომელთაც საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით შესძლეს ყოველდღიური ყოფის გამრავალფეროვნება, ისინი ქ. რუსთავის სხვადასხვა სკოლებიდან, გაკვეთილების შემდეგ ყოვედღიურად აკადემიურ ქალაქში იკრიბებიან, გემრიელი სადილის მირთმევის შემდეგ, ცოტას წაითამაშებენ და მომდევნო დღის საგაკვეთილო პროცესიისათვის სამზადისს შეუდგებიან სათნო, მისაბაძი და ამავდროულად მომთხოვნი პედაგოგის მაკა გოგობერიშვილის დახმარებით, შემდეგ არაჩვეულებრივი ვახშამი და სახლში წასვლაც არ უნდათ ხშირად... მაგრამ ეს ხომ დღის ცენტრია და... დღეების გამრავალფეროვნება კი, შემთხვევით არ გვიხსენებია, აქ გაკვეთილებისათვის მზადების გარდა, ბენეფიციარები, ხატვასა და ძერწვას, ქსოვას, თექაზე მუშაობასა და ჭადრაკის ხელოვნებასაც ეუფლებიან, კოლექტიურად სტუმრობენ კინო-თეატრებსა და გასართობ ცენტრებს, ხვდებიან ცნობილ და საინტერესო ადამიანებს. დაგეგმილია ექსკურსია თბილისსა და მცხეთაში... ამ დღეებში კი პატარები, უკრაინელთა სტუმრობამ გაახალისა, უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატმა ალექსანდრე მარჩენკომ, არამარტო მოინახულა ბენეფიციარები, არამედ საჩუქრებიც უსახსოვრა და მომავალშიც დაჰპირდა თანამშრომლობას, საყურადღებოა, რომ მომდევნო წელს, უკრაინაში, ქ. ოდესაში თეატრალური ფესტივალი იმართება ბენეფიციარი ბავშვების მონაწილეობით, სწორედ ამ საერთაშორისო ფესტივალის სცენაზე წარსდგებიან ჩვენი აკადემიური ქალაქის ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელები, გუგა ნახუცრიშვილის პიესით „ჭინჭრაქა“.

გაზეთი „რუსთავი“ № 19 (10964)

# ქ. რუსთავის აკადემიურმა ქალაქმა საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ სიმპოზიუმს უმასპინძლა

ოთხ დღეს მიმდინარეობდა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ქ. რუსთავის აკადემიურ ქალაქში საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიური სიმპოზიუმი, თემაზე – „განათლება საზღვრების გარეშე“, რომელიც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ეგიდით მოეწყო და რომელშიც ქართულ-პედაგოგიურ სპექტრთან ერთად, უკრაინის პედაგოგთა კავშირის დელეგაციაც მონაწილეობდა, უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატის, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის პროფესორ ალექსანდრე მარჩენკოს ხელმძღვანელობით, ასევე საპატიო სტუმართა სიაში იყვნენ უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პროფესორი გალინა ზახარჩენკო, ჟიტომირის ოლქის ქ. მალინსკის სახელმწიფო ტექნოლოგიური კოლეჯის დირექტორი, დოცენტი იგორ ივანიუკი, ქ. კიევის სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კოლეჯის დირექტორის მოადგილე, დოცენტი ტატიანა კოსა, ვინიცის ოლქის ქალაქ ილლინეცკის სახელმწიფო აგრარული კოლეჯის დირექტორი, პროფესორი – ვასილი პინდუსი, ქ. ხერსონის 30-ე სპეციალიზირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი აქსანა ბარნაში, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები – ალინა ზახარჩენკო და ნატალია სემენჩენკო, კიევის ოლქის ქ. ბელაია ცერკოვის 29-ე ბაგა-ბაღის ფსიქოლოგი, დოცენტი ელენა მარჩენკო, უკრაინის უმაღლესი რადას სახალხო დეპუტატის თანაშემწე-კონსულტანტი, დოცენტი ინნა კოპიევსკაია, ქ. ოდესის 38-ე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი იანა პოცელუევა, ქ. ხერსონის 56-ე სასწავლო აღმზრდელობითი კომპლექსის დირექტორი, უკრაინის დამსახურებული მასწავლებელი-სვეტლანა მიტიუკი.



სიმპოზიუმი საზეიმო ღონისძიებით გაიხსნა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. რუსთავის სკოლა „მილენიუმისა“ და ქ. რუსთავის 23-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები, ასევე ქორეოგრაფიული ანსამბლი „არიში“, რომლის შემდეგაც სტუმარ-მასპინძლებმა ტრადიციული მრავალჟამიერის ფონზე, საერთაშორისო შეხვედრებისათვის განკუთვნილ კორპუსში გადაინაცვლეს, სიმპოზიუმი საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტისრექტორმა, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა გარი ჩაფიძემ გახსნა და თავისივე მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა იმ ქართული სამეცნიერო ინსტიტუციის დამსახურებაზე, რომელიც უხსოვარი დროიდან იღებს სათავეებს, მანვე მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი ქართული და საერთაშორისო აღმზრდელობითი საკითხები, შეეხო იმ ნოვაციებს, რომელსაც საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი ატარებს და სიტყვა საქართველოს პარლამენტის წევრს, მაჟორიტარ დეპუტატს პაატა მხეიძეს გადასცა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმებზე, ხოლო უკრაინის რადას სახალხო დეპუტატმა პროფესორმა ალექსანდრე მარჩენკომ თეზისებად ჩამოაყალიბა განათლების თანამედროვე სპექტრი საფეხურების მიხედვით, საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ სიმპოზიუმის მონაწილეთა წინაშე: – ქ. რუსთავის ვიცე მერი გოჩა ლორია, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ლეილა გეგეშიძე, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე პროფესორი გალინა ზახარჩენკო, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე კახა კობერიძე, საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, პროფესორი აკაკი ზოიძე, ქ. ბათუმის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ ბასილაძე. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა და მას მაღალი შეფასება მისცა ქ. რუსთავის მერმა ბატონმა ირაკლი ტაბაღუამ.



ამაღლებული განწყობის შუქზე გაცვალეს საჩუქრები სტუმარ-მასპინძლებმა, უკრაინის სახელმწიფო ჯილდო, მეგობრობის ორდენი გადასცა ალექსანდრე მარჩენკომ საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარეს, პროფესორ გარი ჩაფიძესა და ჩვენი ქალაქის უდიდეს მეცენატს, კომპანია „გრანდ-ვეჯინის“ გენერალურ დირექტორს ბატონ თამაზ გველუკაშვილს. სიმპოზიუმის პირველი ნაწილის დასრულების შემდეგ, დებატებმა მრგვალ მაგიდასთან, აკადემიური ქალაქის პირველ კორპუსში გადაინაცვლა, სადაც თვალნათლივ წარმოჩნდა იმ ნეგატივებისა და პოზიტივების შესახებ, რომელიც დღეს ორივე ქვეყნის, საქართველოსა და უკრაინის პედაგოგიური აზროვნების თანმდევია. სიმპოზიუმის ფარგლებში სტუმარ-მასპინძლებმა დაათვალიერეს იაკობ გოგებაშვილის მუზეუმი, აკადემიური ქალაქის - „საბავშვო ბაღი თვითმფრინავში“ ბაღის გამგე მაკა სამხარაძესთან ერთად და გაეცვნენ ქ. რუსთავის მეოთხე საჯარო სკოლის მუშაობას, სადაც მეგზურობას სკოლის დირექტორი მამუკა ხამხაძე უწევდა... შემდეგ დელეგაციის წევრები ესტუმრნენ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს ქ. რუსთავში, თბილისსა და მცხეთაში, საიდანაც აღფრთოვანებულები დაბრუნდნენ, სამზადისით საერთაშორისო მეცნიერული კონგრესისათვის, რომელსაც მიმდინარე წლის დეკემბერში, კიევი უმასპინძლებს.

# 60 წელი მომავალი თაობის აღზრდის სადარაჯოზე!



იგი უკვე 85-წელს გადაცდა, ახლა 60-წლის გადასახედთან დგას და თავისი პირველი, 60-წლის წინანდელი, გაუბედავად გადადგმული, სალექციო საქმიანობის დასაწყისი აგონდება... ჰო, ბევრი იყო პრობლემები, ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა იოლი როდია, იყო უძილო ღამეებიც და სიხარულიც, წარმატების თანხვედრი რომაა, ისეთი... იყო რაჭა, იყო თბილისი, იყო გორი, იყო აფხაზეთი და ახლა რუსთავი, სადაც საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის პროფესიული სწავლების ცენტრის პედაგოგი, პროფესორი აკაკი რეხვიაშვილი, არასოდეს ავიწყდებათ, ამის ნათელი დასტური გახლდათ მასთან შეხვედრა, სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში, სადაც ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ, სამეცნიერო-პედაგოგიურ დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისათვის ბატონი აკაკი რეხვიაშვილი – „საქართველო-უკრაინის მეგობრობის მედლითა“ და სპეციალური სიგელით დააჯილდოვა.

შეხვედრა მართლაც ძალზე საინტერესოდ წარიმართა, სიტყვით გამოსულებმა: საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოადგილემ, საელჩოს პირველმა მდივანმა ბატონმა ვიქტორ სემიონოვმა, გარდაბნის საკრებულოს დეპუტატმა ბატონმა გელა ხუციშვილმა, პედაგოგიური სპექტრისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვეს ამაგდარ პედაგოგს, რომელმაც თავის მხრივ გამოთქვა მზადყოფნა, მუდამ იდგეს მომავალი თაობების აღზრდის სადარაჯოზე.



სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 22-45-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369


საქართველო უკრაინის სოციალურ
ურთიერთობათა ინსტიტუტის სასწავლო ცენტრები
აცხადებს მიღებას
IX და XII კლასდამთავრებულთათვის,
ასევე მიღებიან X, XI, XII კლასის მოსწავლეები
სწავლისაგან მოუწყვეტლად
არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით
✓ კომპიუტერული ინჟინერია
✓ კომპიუტერული გრაფიკა
✓ დაცვა-პატრულირება
✓ გარემოს დაცვა
✓ კრიმინალისტი
✓ ბანკის ოპერატორი
✓ ექთნის თანაშემწე
✓ ფარმაცევტის თანაშემწე
✓ კბილის ტექნიკოსი
✓ სამკურნალო მცენარეების დამამზადებელი
✓ ვეტერინარი
✓ ბაგა-ბაღის აღმზრდელი
✓ კორესპონდენტი
✓ გიდი, ტურიზმი
მისამართი:
ქ. თბილისი, ჯავახეთის ქუჩა №7
ქ. რუსთავი, შევჩენკოს ქუჩა №5 (აკადემიური ქალაქი)
ქ. აბაშა, აღმაშენებლის ქუჩა №141
ქ. ზუგდიდი, გალის ქუჩა №11
ქ. ოზურგეთი, კვაჭალათას ქუჩა №5
ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქუჩა №2
ქ. ხაშური, კოსტავას ქუჩა №10
ქ. ახალციხე, რუსთაველის ქუჩა №57
ქ. ტყიბული, კოსტავას ქუჩა №1
ქ. თეთრიწყარო, რუსთაველის ქუჩა №9
ქ. თერჯოლა, აღმაშენებლის ქუჩა №3
ქ. ჭიათურა, ყაზბეგის ქუჩა №6
ქ. კასპი, რუსთაველის ქუჩა №14
ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №36
ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქუჩა №6
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №6
ქ. ლაგოდეხი, ვაშლოვანის ქუჩა №2
ქ. თელავი, ალაზნის ქუჩა №71
ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა №9
კურსდამთავრებულები მიიღებენ სასწავლო პროგრამის
გავლის დამადასტურებელ სამენოვან დიპლომს!